საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 200

22. 01. 2010 წ.

სტუ-ის სამეცნიერო შრომათა კრებულში უცხო პირთათვის სტატიის განთავსების შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის" დებულების მ-3 პოზიციაში - „დამკვეთი"- შეტანილ იქნას ცვლილება. სახელდობრ, ამ პოზიციის ტექსტს დაემატოს ერთი აბზაცი ამგვარი რედაქციით: „ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის სტუ-ის თანამშრომელი, ნება დაერთოს უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში სტატიის განთავსებაზე, იმ პირობით, თუ იგი წინასწარ სტუ-ის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტში შეიტანს სტატიის დაბეჭდისათვის საჭირო თანხას და ნაშრომის თანამდევ დოკუმენტაციას თან დაურთავს ამ თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. (გვ.10 ლარი)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფესორი გ. სალუქვაძე